# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 551

ქ. დუშეთი 30 ოქტომბერი 2013 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტსა, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი _ „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბანკის კოდი – **LBRTGE22**, **ა/№ GE74LB0120137474229000** _ შემდგომში „შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ: შპს"არაგვს" შორის, რომლის რეკვიზიტებია: ქ.დუშეთი მთვარელიანთ დასახლება N6 ს/კ 229317879, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკი" დუშეთის ფილიალი, – ბ/კ - LBRTGE22, ა/№ **GE27 LB 0113123312922000** – შემდგომში „მიმწოდებელი"

მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მათ შორის ურთიერთობები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9" ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის № 1234 განკარგულებისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2.ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის საშუალება,

## ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 .ხელშეკრულების საგანია: 2013 წლის 20-21 აგვისტოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ტერიტორიულ ორგანოს, სოფელი ანანურში დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია. (ზანცური რეზოს უბანში) .

2.2.შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა;

2.3.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 15 867 (თხუთმეტი ათას რვაას სამოცდაშვიდი) ლარს, საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის ჩათვლით;

2.4.კლასიფიკატორის კოდი: CPV- 45200000

2.5.ხელშეკრულების მოქმედების ვადაა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

## 3.სამუშაოს შესრულების პირობები

3.1.სამუშაოს დასრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით.

3.2.მიწოდების ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი, ანანურის ტერიტორიული ორგანო.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს;

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი;
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამუშაოთა დამოუკიდებელი ზედამხედველი.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, ხოლო სამუშაოთა მიღება – ჩაბარებას განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 14 თებერვლის №71 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადი გადახდის გზით, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი შესაბამისი ფორმა N2-ის საფუძველზე, 10 საბანკო დღის განმავლობაში.

### 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
### (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0.1% - ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%–ს.
8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.
8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს მე–7 მუხლის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) შესასრულებელი სამუშაოების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

## 10. ფორს - მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს - მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს - მაჟორული გარემოებების ზეგავლენებისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს–მაჟორული გარემოებეის დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით.

## 11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
11.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხაეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილებით – მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის სახით

და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილებით შეთანხმება ცვლილებების თაობაზე, ჩაითვლება ხელშკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათის მთლიანი ან დანარჩენი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკულებით განსაზღვრული მთლიანი ან დანარჩენი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
13.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი – მიმწოდებელი – მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი-მიმწოდებელი-მესამე პირი).
13.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

## 14. ფასები

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულებების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
14.2 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა:
14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
14.5 ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობით შეთანხმების სახით.

## 15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდეგ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების სახით უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.
15.3 მხარეებს უფლება აქვთ წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტონ შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში.
15.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ევისრება მიმწოდებელს.
16.4 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,
საკრებულოს თავმჯდომარე: /ც. სამადლიშვილი/

მიმწოდებელი:

შ პ ს „არაგვი"

დირექტორი: /გ.ქავთარაძე/

ინდ. მეწარმე "გელა წოწკოლაური"

| |
|---|
| ანანურის ტ.ო-ს სოფ. ანანურში 2013 წლის 20-21 აგვისტოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ბანცური რეზოს უბანში) |

| |
|---|
| ხარჯთაღრიცხვა |

| | |
|---|---|
| | თანხით: 17, 758 ათასი ლარი |

| |
|---|
| შედგენილია სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სამშენებლო რესურსების 2013 წლის III კვარტალში მოქმედი საბაზრო ფასების და მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე |

გ. წოწკოლაური

დუშეთი 2013

## განმარტებითი ბარათი

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე

ანანურის ტ.ო-ს სოფ. ანანურში 2013 წლის 20-21 აგვისტოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ბანცური რეზოს უბანში)

სამშენებლო -სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.
ხარჯთაღრიცხვაში გამოყენებული:

1. სამშენებლო რესურსების ფასები აღებულია მშენებლობის შემფასებელთა შემფასებელთა კავშირის ფეიდიდ გამოცემული ყოველკვარტალური ცნობარიდან და ნაწილობრივ სხვა ორგანიზაციების მიერ გამოცემული ცნობარებიდან.
2. მუშის შრომითი დანახარჯები აღებულია მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად კაც/სთ-ის მიხედვით. (1 კაც/სთ-ის ღირებულებით -4.60 ლარი) და ნაწილობრივ მსგავს სამუშაოებზე საორიენტაციო საბაზრო ღირებულებით (გამოკითხვის მეთოდით);
3. სატრანსპორტო ხარჯები – გაანგარიშებულია პროცენტულად სამშენებლო რესურსების საერთო ღირებულებიდან.

გადასატანი მანძილის (შესყიდვის ადგილიდან სამშ.ობიექტამდე), ადგილმდებარეობის და სამშ. დესურსების

კლასის გათვალისწინებით;

4. ზედნადები ხარჯები – 10%-ის ოდენობით;
5. გეგმიური დაგროვება – 8%-ის ოდენობით;
7. დ.ღ.გ. (დამატებითი ღირებულების გადასახადი) –18%

გ. წოწკოლაური


სანიაღვრე არხის გაწმენდა
არხის გაწმენდა
გზის მოხრეშვა
შემაკავებელი კედელი
გაბიონი
გზის სავარაუდო მოხრეშვა
გზის მოხრეშვა
სანიაღვრე არხი
გაბიონები ბილით
წიკლაური ალექს სახლი
გზის მოხრეშვა
არხის გაწმენდა ხელით
არხის გაწმენდა ექსკ.
© 2013 Google
94 м
Image © 2013 DigitalGlobe
Google
Дата съемки: 11.3.2003
2003
38 T 474706.12 м В 4668907.13 м С Высота над уровнем моря 846 м
2.89 км

ქარელის მ.ო. ს. ქარელში 2013 წლის 20-21 ნოემბრის სტიქიის შედეგად
დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბ.სამ-ზე / ქარელური რუხის [illegible] /
მშენებლობის კალენდარული გეგმა.

| № | სამუშაოთა დასახელება | სამუშაოთა ხანგრძლივობა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I თვე | | | | | | II თვე | | | | | | III თვე | | | | | | IV თვე | | | | | |
| | | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 31 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 31 |
| 1 | ქარელური რუხის [illegible] მოწყობა | 25 სამუშ. დღე / 45 კალ. დღე / 321 კაც/სთ 15 მანქ/სთ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | [illegible] | | | | 6 სამუშ. დღე / 27 კალ. დღე / 90 კაც/სთ 17 მანქ/სთ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ქარელური რუხის [illegible] | | | | | | | | | 3 სამ. დღე / 6 კალ. დღე 15 კაც/სთ 8 მანქ/სთ. | | | | | | | | | | | | | | | |

სამუშაოთა ხანგრძლივობა - 78,0 კალენდარული დღე
მათ შორის სამუშაო დღე - 34.0 დღე.

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

ანანურის ტ.ო.-ს სოფ. ანანურში 2013 წლის 20-21 აგვისტოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ბანცური რეზოს უბანში)

შედგენილია დეფექტური აქტის საფუძველზე

| № | ნორმა-ტივის № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდენობა | | ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განზ. ერთ-ზე | საპრ. მონაც. | განზ. ერთ-ზე | სულ |
| 1 | 1–22 | I-თავი ბანცური რეზოს უბანში სარეაბილიტაციო სამუშაოები<br>ბანცური რეზოს უბანში ჩამონატანი მასის დამუშავება ექსკავატორით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით | 1000 მ³ | | 0.1 | | 188.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 20.0 | 1.60 | 4.60 | 7.0 |
| | სრფ-2013 12–130 | ექსკავატორი (44.8X1.2) | მანქ/სთ | 53.76 | 4.30 | 42.17 | 181.0 |
| 2 | სრფ-2013 13–3 | მასის გატანა ნაყარში ავტოთვითმცლელით | ტონა | | 136.0 | 2.28 | 310.0 |
| 3 | 1–29 | ბანცური რეზოს უბანში (ნამგალაური სოსოს სახლთან) ჩამონატანი მასის მოჭრა-მოგროვება ბულდოზერით | 1000 მ³ | | 0.20 | | 281.0 |
| | სრფ-2013 12–149 | ბულდოზერი (22.4+9.41)X1.25 | მანქ/სთ | 39.76 | 7.95 | 35.34 | 281.0 |
| 4 | 1–22 | მოგროვილი მასის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე ექსკავატორით | 1000 მ³ | | 0.20 | | 471.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 20.0 | 4.0 | 4.60 | 18.0 |
| | სეფ-2013 12–130 | ექსკავატორი (44.8X1.2) | მანქ/სთ | 53.76 | 10.75 | 42.17 | 453.0 |
| 5 | სრფ-2013 13–3 | მასის გატანა ნაყარში ავტოთვითმცლელით | ტონა | | 263.0 | 2.28 | 599.0 |
| 6 | 1–80 | ბანცური რეზოს უბანში (ნამგალაური სოსოს სახლთან) საყრდენი (დამჭერი) კედლის მოსაწყობად საძირკვლის გათხრა ხელით (36.0X0.5X0.6) | მ³ | | 10.8 | | 178.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუშის შრომითი დანახარჯები (2.99X1.2) | კაც/სთ | 3.59 | 38.8 | 4.60 | 178.0 |
| 7 | 6–14 | რკბეტონის საყრდენი (დამჭერი) კედლის მოწყობა ღობის გაყოლებით სიგრძით 36.0 მ სიმაღლით 1.45 მ, კედლის სისქე 0.22 მ, (საძირკვლის კვეთი 0.3X0.5 მ) | $მ^3$ კონსტრ. | | 17.7 | | 4799.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები (13.2X1.2) | კაც/სთ | 15.8 | 279.7 | 4.60 | 1286.0 |
| | | მანქანები (1.43X3.2) | ლარი | 4.57 | | | 81.0 |
| | სრფ-2013 1.1–27 | მატერიალური რესურსები<br>არმატურა დ-16 ა III | მ | | 261.0 | 1.76 | 459.0 |
| | 1.1–24 | არმატურა დ-10 ა III | მ | | 180.0 | 0.71 | 128.0 |
| | 1.1–16 | არმატურა დ-8 ა I | მ | | 261.0 | 0.46 | 120.0 |
| | 4.1–278 | ბეტონი (ბმ-250) | $მ^3$ | 1.015 | 18.0 | 99.0 | 1778.0 |
| | 5.1–133 | ყალიბის ფარი | $მ^2$ | 2.64 | 46.73 | 12.0 | 561.0 |
| | 5.1–21 | ფიცარი | $მ^3$ | 0.055 | 0.97 | 349.0 | 340.0 |
| | ფასი საბაზრო | ღორღის ფენა (ძირზე) 10 სმ (დატკეპნით) | $მ^3$ | | 3.0 | 6.0 | 18.0 |
| | | სხვა მასალები (0.49X3.2) | ლარი | 1.57 | | | 28.0 |
| | | სულ I-თავში | | | | | 6826.0 |
| 1 | 1–22 | II-თავი ბურდული გოგიას და ელიზბარ ჯაველიძის უბანში სარეაბილიტაციო სამუშაოები<br>აღნიშნულ უბანზე არსებული ხევის გაწმენდა ჩამონატანი მასისგან ექსკავატორით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით 160X2.0X1.0 | 1000 $მ^3$ | | 0.320 | | 754.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 20.0 | 6.40 | 4.60 | 29.0 |
| | | ექსკავატორი (44.8X1.2) | მანქ/სთ | 53.76 | 17.20 | 42.17 | 725.0 |
| 2 | 1–80 | აგრეთვე ხელით მექანიზმებისათვის მიუდგომელ უბანში (10X2X1) | $მ^3$ | | 20.0 | | 190.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 2.06 | 4.12 | 4.60 | 190.0 |
| 3 | სრფ-2013 13–3 | ჩამონატანი მასის გატანა ავტოთვითმცლელით (ნაყარში) | ტონა | | 512.0 | 2.28 | 1167.0 |
| 4 | 6–11 | აქვე(ჯაველიძე ელიზბარის სახლიდან) ღობის გამაგრება ეკ.ბეტონით ბალიშის მოწყობით | მ კონსტრ | | 5.0 | | 940.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფასი საბაზრო | მუშის შრომითი დანახარჯები | | | | 5.0X50.0 | 250.0 |
| | სრფ-2013 1.1–18 | მატერიალური რესურსები<br>არმატურა დ-12 ა III | მ | | 40.0 | 0.99 | 40.0 |
| | 1.1–16 | არმატურა დ-8 ა III | მ | | 60.0 | 0.46 | 28.0 |
| | 4.1–278 | ბეტონი (ბმ-250) | მ³ | 1.015 | 5.1 | 99.0 | 502.0 |
| | 5.1–133 | ყალიბის ფარი | მ² | 1.18 | 5.9 | 12.0 | 71.0 |
| | 5.1–21 | ფიცარი | მ³ | 0.025 | 0.125 | 349.0 | 44.0 |
| | | სხვა მასალები (0.34X3.2) | ლარი | 1.09 | | | 5.0 |
| 5 | 1–80 | ამავე უბანზე ჩამონატანი მასის ამოწმენდა ხელით (გვერდზე დაყრით) | მ³ | | 30.0 | | 142.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 2.06 | 30.90 | 4.60 | 142.0 |
| | | სულ II-თავში | | | | | 3193.0 |
| 1 | | III-თავი. ანცური რეზოს უბანში გზის მოხრეშვა (420 მ²)<br>მოსახრეშად "ბალასტის" ამოღება ექსკავატორით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით | 1000 მ³ | | 0.063 | | 149.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 20.0 | 1.26 | 4.60 | 6.0 |
| | სჟრ-2013 12–130 | ექსკავატორი (44.8X1.2) | მანქ/სთ | 53.76 | 3.39 | 42.17 | 143.0 |
| 2 | სრფ-2013 13–5 | "ბალასტის" ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელზე | ტონა | | 101.0 | 3.12 | 314.0 |
| 3 | 27–7 (მისადაგ) | დაზიანებული გზის საფარის აღდგენა (მოხრეშვა) "ბალასტით" | 100 მ³ | | 0.50 | | 233.0 |
| | | მუშის შრომითი დანახარჯები | კაც/სთ | 21.6 | 10.8 | 4.60 | 50.0 |
| | სჟრ-2013 12–193 | ავტოგრეიდერი (2.42X1.2) | მანქ/სთ | 2.90 | 1.45 | 40.74 | 59.0 |
| | 12–140 | ბულდოზერი | მანქ/სთ | 2.58 | 1.29 | 35.34 | 46.0 |
| | 12–211 | სატკეპნი | მანქ/სთ | 7.6 | 3.8 | 20.54 | 78.0 |
| | ადგილ. მასალა | მატერიალური რესურსები<br>"ბალასტი" | მ³ | 126 | 63.0 | – | – |
| | | სულ-III თავში | | | | | 696.0 |
| | | სულ I-III თავებში | | | | | 10715.0 |
| | | აქედან:<br>მუშის ხელფასი | | | | | 2156.0 |
| | | მატერიალური რესურსები | | | | | 4122.0 |
| | | მანქანა-მექანიზმები | | | | | 4437.0 |
| | | სულ | | | | | 10715.0 |
| | | სატრანსპორტო ხარჯებისულ | | | | | 603.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 11318.0 |
| | | ზედნადები ხარჯები 10% | | | | | 1132.0 |
| | | სულ | | | | | 12450.0 |
| | | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | 996.0 |
| | | სულ | | | | | 13446.0 |
| | | დ.დ.გ.-18% | | | | | 2421.0 |
| | | სულ | | | | | 15867.0 |
| | | ტექდოკუმენტაციის შედგენა | | | | | 1732.0 |
| | | სულ | | | | | 17599.0 |
| | | მშენებლობის ზედამხედველობა | | | | | 159.0 |
| | | სულ | | | | | 17758.0 |

შეადგინა: /გ.წოწკოლაური/